საიდ. №75212/03

IR 1184769

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №14-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ლაბორატორე ნუქს” (LABORATOIRE NUXE) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №14-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 ნოემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ“ №2948/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „NYX” (საიდ. №75212/03 IR 1184769) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „ნიქს ლოს ანჟელეს ინკ“ (NYX, Los Angeles Inc.) სახელზე მე-18, 21-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ლაბორატორე ნუქს" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „NYX" მსგავსია მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა "NUXE" ვიზუალურად და ჟღერადობით და ეს მსგავსება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთა/შემთავაზებელთა ერთმანეთში აღრევა. ნიშნები მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით. აპელანტის სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია სტანდარტული ლათინური ასომთავრული შრიფტით "NUXE", ხოლო სადავო საერთაშრისო სასაქონლო ნიშანი კი სტილიზებული ლათინური ასომთავრული შრიფტით „NYX". სადავო სასაქონლო ნიშანში ლათინური ასო "Y" ისეა სტილიზებული, რომ ძალზედ დიდია მისი მსგავსება ასოსთან „U". ნიშნებში იდენტურია ასოები „N" და „X". აპელანტის აზრით სადავო ნიშნის ბოლოს დამატებითი ასოს "E" არსებობა სადავო ნიშანს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას. აპელანტის პოზიციით, სადავო საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ წარმოითქმის, როგორც „ნიქს", ხოლო აპელანტის ნიშანი კი - „ნუქს". აპელანტის აზრით ერთ ბგერაში განსხვავება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ნიშნები ჩაითვალოს განსხვავებულად და გამოირიცხოს მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა. აპელანტი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშანი საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ მე-3 კლასის საქონლისათვის სადავო სასაქონლო ნიშნით დაცული საქონელი და მომსახურება მე-18, 21-ე და 35-ე კლასებიდან ერთგვაროვანია მისი ნიშნით დაცული საქონლისა, რაც იწვევს მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. სადავო სასაქონლო ნიშნით დაცულია შემდეგი საქონელი და მომსახურება: კლასი 18: „კოსმეტიკური ჩანთები, ბუდეები

კოსმეტიკისათვის, კოსმეტიკის სატარებელი ჩანთები“, კლასი 21: „მაკიაჟის ფუნჯები“, კლასი 35: „კოსმეტიკის, მაკიაჟის, კოსმეტიკის ჩანთების, კოსმეტიკის ბუდეების, კოსმეტიკის სატარებელი ჩანთების, მაკიაჟის ფუნჯების, ჩასადებისა და მაკიაჟის ფუნჯების გასაყიდი ონლაინ მაღაზიები“. აპელანტის სასაქონლო ნიშნით დაცულია შემდეგი საქონელი მე-3 კლასიდან: „კოსმეტიკა, პარფიუმერია, ტუალეტის წყალი, ოდეკოლონი, პერსონალური დეზოდორანტები; ეთერზეთები; საპონი, საწმენდი რძეები; კოსმეტიკური კანის მოვლის კრემები, გელები, რძეები, ლოსიონები, მასკები, ტუჩსაცხები, ფხვნილები და საშუალებები; კოსმეტიკური ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალებები; კოსმეტიკური ტუჩის მოვლის საშუალებები; კოსმეტიკური მზისგან დამცავი საშუალებები, კოსმეტიკური მზით გასარუჯი საშუალებები, კოსმეტიკური მზის აბაზანების შემდგომი საშუალებები; კოსმეტიკური გასახდომი საშუალებები; დეპილაციის საშუალებები; თმის მოვლის საშუალებები, კერძოდ საშუალებები თმისა და სკალპის მოსავლელად; კოსმეტიკური საშუალებები აბაზანისათვის; მაკიაჟისა და მაკიაჟის მოსაშორებელი საშუალებები; საპარსი საშუალებები და გაპარსვის შემდგომი საშუალებები; ნამიანი პირსახოცები და ქაღალდი გაჟღენთილი კოსმეტიკური ლოსიონით; ოთახის სუნამოები“. დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის შედარება ცხადყოფს, რომ სადავო სასაქონლო ნიშნით დაცული საქონელი ერთგვაროვანია აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნით დაცული მე-3 კლასის საქონლისა. უდავოა, რომ ჩანთები და ქეისები კოსმეტიკისათვის, ფუნჯები მაკიაჟისათვის, ისევე როგორც მათი გასაყიდი მაღაზიები მჭიდროდ არის დაკავშირებული აპელანტის მიერ დაცულ კოსმეტიკასთან და თავის მოვლის სხვა საშუალებებთან. აპელანტის პოზიციით, როდესაც მომხარებელი იხილავს, პროდუქციას მონიშნულს სასაქონლო ნიშნით „NYX“, რომელიც უდავოდ მსგავსია მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა “NUXE”, მომხმარებელმა შესაძლებელია ჩათვალოს, რომ ეს პროდუქცია ერთი და იმავე კომპანიის ნაწარმია.

აპელანტი მიიჩნევს, რომ მომხმარებელი ასევე იფიქრებს, რომ მომსახურება 35-ე კლასიდან ნიშნით „NYX” მას სთავაზობს იგივე მწარმოებელი. ამ შემთხვევაში

ადგილი აქვს ნიშნების ფონეტიკურ, ვიზუალურ მსგავსებას, ასევე საქონლისა და მომსახურებების ერთგვაროვნებას, რაც საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი, მათ შორის ასოცირების შედეგადაც. აპელანტის განმარტებით, იგი აწარმოებს პროცესებს სადავო სასაქონლო ნიშნის ფლობელის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში. დღეისათვის მას შეტანილი აქვს დაახლოებით 70 ოპოზიცია. ასევე, აპელანტი აწარმოებს მოლაპარაკებას დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელთან იმისათვის, რომ საქმე ორმხრივი შეთანხმებით დასრულდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 ნოემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ“ №2948/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „NYX” (საიდ. №75212/03 IR 1184769) მიენიჭა დაცვა საქართველოში კომპანიის „ნიქს ლოს ანჟელეს ინკ“ (NYX, Los Angeles Inc.) სახელზე მე-18, 21-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „NYX“ (საიდ. №75212/03 IR 1184769) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „NUXE" (IR 1072247) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშანს. სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად,

რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტილიზებულად, სამი ლათინური ასომთავრული ასოსაგან შედგება და შეიცავს დამატებით ასოს „Y“. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია 4 სტანდარტული ასომთავრული ასოსგან და სადავო სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შეიცვას ასოებს „U“ – „E“. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოკლე სასაქონლო ნიშნების შედარებისას, მათ შორის მცირედი განსხვავებაც საკმარისია იმისათვის, რომ ნიშნები განსხვავებულად ჩაითვალოს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი 3 ასოანია და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისაგან 2 ასოთი განსხვავდება. ამასთან, ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ნიქს“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ნუქს“. ამასთან, განსხვავებულია განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-18, 21-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურებისათვის, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „NYX” (საიდ. №75212/03 IR 1184769) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ლაბორატორე ნუქს" (LABORATOIRE NUXE) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის -„საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 ნოემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ" №2948/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

ა. დალაქიშვილი